

სს ვინდ ფაუერ (მანამდე „სს ონი კასკადი“)
და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	9
5. არამატერიალური აქტივები.....	11
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
7. სააქციო და საემისიო კაპიტალი	11
8. მიღებული სესხები	12
9. სხვა ვალდებულებები.....	12
10. სხვა ხარჯები	12
11. ფინანსური ხარჯები.....	12
12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	13
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13

სს ვინდ ფაურ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის


('000 ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული	ინდივიდუალური	
		2021	2021	2020*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები	5	52,327	52,327	124
ძირითადი საშუალებები		1,092	891	19
ინვესტიციები	5	-	201	-
აქტივის გამოყენების უფლება		4	4	20
		53,423	53,423	163
მოკლევადიანი აქტივები				
გადახდილი ავანსები		301	301	23
წინასწარ გადახდილი გადასახადები		110	110	66
მარაგები		-	-	6
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,055	1,055	17
		1,466	1,466	112
სულ აქტივები		54,889	54,889	275
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	7	8,580	8,580	950
საემისიო კაპიტალი	7	51,235	51,235	4,605
დაგროვილი ზარალები		(5,759)	(5,759)	(5,346)
		54,056	54,056	209
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები		-	-	13
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8	100	100	-
საიჯარო ვალდებულებები		7	7	8
სხვა ვალდებულებები	9	726	726	45
		833	833	53
სულ ვალდებულებები		833	833	66
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,889	54,889	275

*2020 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მონაცემები იდენტურია.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 1 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



ლაშა იორდანაშვილი

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს ვინდ ფაუერ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
		2021	2020
თანამშრომელთა სარგებელი		(223)	(212)
პროფესიული მომსახურება		-	(99)
სხვა ხარჯები	10	(124)	(64)
საოპერაციო ზარალი		(347)	(375)
ფინანსური ხარჯი	11	(50)	(49)
საკუთრო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(16)	(1)
ზარალი დაბეგვრამდე		(413)	(425)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(413)	(425)

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს ვინდ ფაუერ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება:

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	947	4,312	(4,921)	338
მფლობელების შენატანები				
კაპიტალის ზრდა	3	293	-	296
მთლიანი სრული ზარალი	-	-	(425)	(425)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	950	4,605	(5,346)	209
მფლობელების შენატანები				
კაპიტალის ზრდა	7,630	46,630	-	54,260
მთლიანი სრული ზარალი	-	-	(413)	(413)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	8,580	51,235	(5,759)	54,056

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს ვინდ ფაუერ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

	შენიშვნა	კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	
		2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
ზარალი დაბეგვრამდე		(413)	(425)
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:			
ფინანსური ხარჯი	11	50	49
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია		8	6
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	5	33	33
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		16	1
ფულად ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(306)	(336)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
გადახდილი ავანსების ზრდა		(278)	(20)
წინასწარ გადახდილი გადასახადების (ზრდა) შემცირება		(44)	33
მარაგების შემცირება		6	-
სხვა ვალდებულებების ზრდა		681	17
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		59	(306)
გადახდილი პროცენტი		(45)	(47)
გადახდილი საიჯარო ვალდებულების პროცენტი		-	(2)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		14	(355)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(872)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(872)	-
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სააქციო და საემისიო კაპიტალის ზრდა	7	1,823	296
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები		(12)	(5)
მიღებული სესხების ზრდა		100	-
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		1,911	291
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (შემცირება)		1,053	(64)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		17	81
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი		(15)	-
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		1,055	17

7 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ვინდ ფაუერ (კომპანია) არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სააქციო საზოგადოება და დაფუძნებულია და საქმიანობს საქართველოში. კომპანია დარეგისტრირებულია 2015 წლის 28 აპრილს.

2022 წლიდან კომპანიამ შეიცვალა ბრენდის სახელი და სს ონი კასკადის ნაცვლად სს ვინდ ფაუერი-ს სახელით განაგრძობს საქმიანობას. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის 100ა-ში.

კომპანია საქმიანობს ენერგეტიკის სექტორში. კერძოდ, კომპანია ახორციელებს რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტს, რომელიც მდებარეობს, ქარელის მუნიციპალიტეტში, სრული დადგმული სიმძლავრით 206 მეგავატი.

კომპანიის ერთადერთი აქციონერია შპს ფერი. შპს „ფერის“ მფლობელები არიან: იოსებ მეჭედლიშვილი (96%) და კახაბერ შევარდნაძე (4%).

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს (შემდგომში ჯგუფი) დედა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ქვემოთ მოცემულ შვილობილ კომპანიებს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კომპანიის დასახელება	2021	2020	ძირითადი საქმიანობა
შპს სინთე	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს სტეპ ენერჯი	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ველის ქარი	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს რენეს ქარი	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ბებნისის ქარი	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ქედის ქარი	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ჯეოკრაფტი	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს სინთე 2	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს ქარის პარკი ფარავანი	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა
შპს რუისის ქარის ელექტროსადგური	100%	-	არ დაუწყია საქმიანობა

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის/ჯგუფის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-14 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის/ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას. თანხები დამრგვალებულია ათასებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის/ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიაში იმყოფება სრული ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის

ნებართვის მოპოვების პროცესში. კომპანია გეგმავს ამ პროცესის დასრულებას 2023 წელს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი/კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ ვარაუდით, რომ კომპანია/ჯგუფი არის მოქმედი და გააგრძელებს თავის საქმიანობას უახლოეს მომავალში. იმის გამო, რომ კომპანიას/ჯგუფს არ დაუწყია ძირითადი საქმიანობა, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. აქციონერები აპირებენ კომპანიის/ჯგუფის საოპერაციო ზარალის დაფინანსებას მანამ, სანამ ის არ გამოიმუშავებს საკმარის შემოსავალს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობა შესაბამისია კომპანიისთვის/ჯგუფისთვის.

ახალ ფასს-ებზე გადასვლა

ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არცერთ ახალ გამოსულ სტანდარტს, ინტერპრეტაციას და ცვლილებას არსებულ სტანდარტებში, რომელიც გამოვიდა 2021 წლის იანვრის შემდეგ არ ჰქონია გავლენა ჯგუფის/კომპანიის კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოცემა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა/კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები ძალაში შევა 2023 წლის 1-ელ იანვარს.

ჯგუფი/კომპანია არ ელოდება, რომ IASB-ის მიერ გამოცემულ სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ეფექტური, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია/ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის/ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების

განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი/კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

დაბეგვრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი/კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად ჯგუფი/კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი/კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არაუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი/კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი/კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის/კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ჯგუფს/კომპანია არ მოუხდენია არსებითი ცვლილებები წინა პერიოდებთან შედარებით ფინანსური ინსტრუმენტების რისკების, მისი მიზნების, პოლიტიკისა და ამ რისკების მართვის პროცესების ან მათი შეფასების მეთოდებში, თუ ასხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს კომპანია/ჯგუფი და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები წარმოდგენილია შემდეგნაირად: ფული და ფულის ეკვივალენტები, სხვა ვალდებულებები, მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სხვა ვალდებულებების, მიღებული სესხების და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის/ მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის/კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიქმნება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. ვინაიდან კომპანიის/ჯგუფის ფინანსური აქტივები შედგება მხოლოდ ფული და ფულის ეკვივალენტებისგან, საკრედიტო რისკი მინიმუმამდე დასაშვებ დონეზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი/კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

მოცემული ცხრილი განმარტავს ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობას (არადისკონტრირებული მონაცემები):

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	2021	2020
1 წლამდე	(833)	(53)
1-დან 5 წლამდე	-	(16)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის/კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს/კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის/ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება დენომინირებულია ლარში, გარდა ფული და ფულის ეკვივალენტებისა 1,050 და 15 ლარის ოდენობით და მიღებული სესხები 100 ლარის ოდენობით 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში.

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	190	(190)	3	(3)

რეალური ღირებულების იერარქია

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების 1 დონით, მიღებული სესხების და საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-2 დონით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-3 დონით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია/ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია/ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია/ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ქარის ელექტროსადგურების აშენების უფლება	ლიცენზიები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	-	166	166
შემოსვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	166	166
შემოსვლა	52,236	-	52,236
2021 წლის 31 დეკემბერი	52,236	166	52,402
დაგროვილი ამორტიზაცია			
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(9)	(9)
ამორტიზაცია	-	(33)	(33)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(42)	(42)
ამორტიზაცია	-	(33)	(33)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(75)	(75)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	-	124	124
2021 წლის 31 დეკემბერი	52,236	91	52,327

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას/ჯგუფს აქვს ორი აქტიური წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ქვიშისა და ხრეშის მოპოვებისთვის. ლიცენზიები შეძენილია 2019 წლის 6 დეკემბერს და 2019 წლის 5 აგვისტოს, რომელიც მოქმედია 5 წლის ვადით. ლიცენზიით მისაღები მაქსიმალური ოდენობა (კმ/მ) განისაზღვრება 82,350 და 143,550, შესაბამისად.

2021 წლის სექტემბერში მშობელმა კომპანიამ შეიძინა 11 კომპანია 52,437 ლარად. ამ კომპანიებს ჰქონდათ 206 დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების გენერირების უფლება. მშობელმა ყველა შეძენილი შვილობილი კომპანია შეიტანა კომპანიაში საბალანსო ღირებულებით. კომპანიამ მოიპოვა ახალი შვილობილი კომპანიებისგან დადგმული სიმძლავრის 206 მეგავატი ქარის ელექტროსადგურების გენერირების უფლება. შედეგად, მთლიანი გადახდილი ანაზღაურებიდან 52,236 ლარი წარდგენილ იქნა როგორც არამატერიალური აქტივები, ხოლო დანარჩენი ნაწილი 201 ლარი (მიწისა და შენობის ღირებულება) როგორც ინვესტიცია.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს. ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

7. სააქციო და საემისიო კაპიტალი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური:

	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო კაპიტალი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	947	947	4,312	5,259
გამოშვებული ახალი აქციები	3	3	293	296
2020 წლის 31 დეკემბერი	950	950	4,605	5,555
გამოშვებული ახალი აქციები	7,630	7,630	46,630	54,260
2021 წლის 31 დეკემბერი	8,580	8,580	51,235	59,815

სს ვინდ ფაუერ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

2021 წელს გამოშვებული ახალი აქციები მოიცავს ფულადი შენატანებს 1,823 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენი თანხის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში. ყოველ ჩვეულებრივ აქციას აქვს ერთი ხმა. საემისიო კაპიტალი წარმოადგენს მიღებული შენატანების ჭარბი ღირებულებას გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასთან მიმართებაში.

8. მიღებული სესხები

2021 წლის მაისში კომპანიამ შპს „ფერისგან“ მიიღო 30,000 აშშ დოლარი. სესხის ვადა არის 2022 წლის 31 დეკემბერი და საპროცენტო განაკვეთი 6.9%.

9. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 487 ლარის ვალდებულებას GE:NET GMBH-ის მიმართ ქარის საზომი ანძების შესყიდვისთვის.

10. სხვა ხარჯები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური:

	2021	2020
ამორტიზაცია	(41)	(39)
მიღებული მომსახურებები	(55)	(12)
საგადასახადო ხარჯები, გარდა მოგების გადასახადისა	(23)	(8)
სხვა	(5)	(5)
	(124)	(64)

11. ფინანსური ხარჯი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური:

ფინანსური ხარჯი:

	2021	2020
საბანკო გარანტიებზე	(45)	(47)
მიღებულ სესხებზე	(3)	-
საიჯარო ვალდებულებებზე	(2)	(2)
	(50)	(49)

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
	მფლობელი	მფლობელი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
შენატანები კაპიტალში	(54,260)	(296)
მიღებული სესხები	(100)	-
სხვა ხარჯები	(23)	(21)
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ფინანსური ხარჯები	(3)	-
მოკლევადიანი იჯარა	(2)	(2)

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენები

2022 წლის 16 ნოემბრის კრების ოქმის მიხედვით, კომპანიის/ჯგუფის აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება დედა კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდა 20,000 ლარით, ასევე 1,420 ჩვეულებრივი აქციის გამოშვება (თითოეული აქციის ღირებულება იქნება 2.42 აშშ დოლარი); ამავე სხდომაზე დამტკიცდა წესდების განახლებული ვერსია, რომელშიც აისახა ზემოაღნიშნული ცვლილებები.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც დედა კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

დედა კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. იმის შეფასებისას, დედა კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, დედა კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- დედა კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრდასთან შედარებით;
- დედა კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ დედა კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც დედა კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც დედა კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც დედა კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივებს ფლობის მიზნიდან გამომდინარე აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული. ჯგუფი/კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

კომპანიის/ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია/ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია/ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია/ჯგუფი არ ფლობს სხვა ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია/ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

რეალური ღირებულებით შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ძირითადი საშუალებები

მიწები წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

მიწა არ იცვითება. ქარის საზომი ანძის ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია/ჯგუფი ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია/ჯგუფი მიმოიხილავს გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ახალი აქციების გამოშვებას, აისახება კაპიტალში, როგორც გამოქვითვა, გადასახადის გარეშე. მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ნებისმიერი გადამეტება გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალი.

მიღებულ მომსახურებებზე წინასწარ გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსი გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მას შემდეგ, რაც კომპანია/ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიედინება კომპანიაში/ჯგუფში.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად აღიარებულ შემოსავლებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაწეულია კომპანიის/ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის/ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფი სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766